ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის საფინანსო საქალაქო
სამსახური

KA980144302032016

№9/274214

18 / ოქტომბერი / **2016 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრს
ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი №04-7/1377 (მერიის №370674/05) წერილი, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას რა თანხა ჩაირიცხა შპს "სი-ტი პარკისგან" ადგილობრივ ბიუჯეტში 2014 წლის აგვისტოდან დღემდე.

გაცნობებთ, რომ შემოსულობების განმსაზღვრელ 300773281 სახაზინო კოდზე (შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან) შპს "სი-ტი პარკისგან" ჩარიცხულია: 2014 წლის აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით 988 242,84 ლარი, 2015 წელს - 1 221 496,47 ლარი, 2016 წლის განმავლობაში 18 ოქტომბრის მდგომარეობით - 795 931,07 ლარი; შემოსულობების განმსაზღვრელ 300773250 სახაზინო კოდზე (შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო) ჩარიცხულია: 2014 წლის აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით 2 144 784,65 ლარი, 2015 წელს - 6 810 853,75 ლარი და 2016 წლის განმავლობაში 18 ოქტომბრის მდგომარეობით - 6 284 688,74 ლარი.

სულ 2014 წლის აგვისტოდან 2016 წლის 18 ოქტომბრამდე ადგილობრივ ბიუჯეტში შპს "სი-ტი პარკისგან" ჯამურად ჩარიცხულია 18 245 997,52 ლარი.

პატივისცემით,

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

გაიოზ თალაკვაძე

ეს: 04-7/1377 19.10.16